№ 58

ხუთშაბათი, 27 მარტი 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 58

ხუთშაბათი, 27 მარტი 1897 წ.

გაზეთის ღირს:

| თვ. | მან. კ. | თვ. | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპოთ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ, თანახმად ,,საზოგადოების'' წესდების მე-12 §-ის, კვირას, 27 აპრილს დილის 12 საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია დრამატიულ საზოგადოების წევრთა მორიგი საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები 1896 და 1897 წლ. მოქმედებისა;

2) ქუთაისის სათეატრო კომისიის ანგარიში;

3) მოხსენება გამგეობისა ,,საზოგადოების'' მოქმედების შესახებ მომავალ წელს;

4) მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

5) არჩევანი გამგეობის იმ წევრთა, რომელნიც ვადის დასრულებამდე ანებებენ თავს საზოგადოების სამსახურს და აგრეთვე ორის კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების წევრებისა. (5—უ—1)

## მთავრობის განკარგულებანი

—

ე ბ ო ძ ა: დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელობის მე-15 გრენადერთა რაზმის კაპიტანს კ ო ბ ა ლ ა ძ ე ს —პოდპოლკოვნიკობა და ამასთან დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მუნდირითა და პენსიით.

ჩ ა რ ი ც ხ უ ლ ი ქ მ ნ ა: ლეიბ-გრენადერთა ერევნის მე-13 რაზმის პოდპოლკოვნიკი თავადი ვ ა ჩ ნ ა ძ ე—არმიის ქვეითა სათადარიგო ჯარში (ტფილისის მაზრაში).

## ახალი ამბავი

—

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ფოთის ქალაქის მოურავი ბ-ნი ნ. ი. ნიკოლაძე.

*** 2 მაისს ტფილისის ოლქის სასამართლო იოსებ მურადოვისა და ეკატერინე ნონიკოვის საქმეს განიხილავს, რომელთაც მოვახშეობა ჰბრალდებათ.

*** როგორც გაზ. „კავკასს“ აუწყებენ, პოლიციის ბოქაულს ზ-ნ ქღენტს ზუგდიდის მაზრის, სოფ. კოკის მცხოვრები გლეხი პავლე ადამია გაუჩხრეკია და 5 ცალი ყალბი ფული უპოვნია და რამდენიმე გირვანქა კალის მსგავსი ლითონი. ბ-ნ ბოქაულს ეს ლითონი და ყალბი ფული ერთი მეორისათვის შეუდარებია და იმათ შორის დიდი მსგავსება შეუმჩნევია. ბ-ნი ადამია და ეს ნივთები ბოქაულს გამომძიებლისთვის წარუდგენია.

*** ჩვენ ამას წინედ მოხსენებული გვქონდა, რომ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრებმა დაადგინეს,—შემოდგომაზედ (ღვინობისთვეში) ბაღეულობის გამოფენა გაიმართოსო. ხსენებულ განყოფილების წევრებმა წარსულ კვირას, 23 მარტს, გარდასწყვიტეს, რომ რადგან შემოდგომაზედ ბევრი მცენარეულობა დამძრალი იქმნება, როგორც მაგალითად რამდენიმე ჯიშის ყვავილი, ვარდი და სხვ., რომელთა გამოფენა სასურველია, ამისათვის მაისის შუა რიცხვებში კერძო გამოფენა გავმართოთ, რომელზედაც მებაღეები ამ გვარს მცენარეულობას გამოჰფენენო.

ამავე კრებაზედ ბ-ნ კავრაისკიმ ბობოწვერას შესახებ (омела) მოხსენება წაიკითხა და თვალ-საჩინოდ განმარტა, ამ მუქთა-მჭამელს მცენარეს, რომელიც სხვა-და-სხვა ხეხილზედ ამოდის და მისის ნოყიერებით საზრდოობს, რა დიდი ვნება მოაქვს, როგორ ასუსტებს ხეხილის ნაყოფიერებას და როგორ უდროვოდ უსპობს ხეხილს სიცოცხლეს.

ამის შემდეგ აგრონომმა სპეშნიევმა საქართველოს მცენარეულობის ახალ-სენთა შესახებ ისაუბრა. ბ-ნ სპეშნიევმა მსმენელთა ყურადღება განსაკუთრებით ბლეკროტსა (ვაზის სენი) და მაინროტს (ხეხილის სენი) მიაპყრო და ყველას ნათლად დაუსურათ-ხატა, რა მავნებელია ორივე ეს სენი, რა დიდ ზიანს აძლევს სოფლის მეურნეთ და დასავლეთ ევროპაში რა ღონისძიებას ჰხმარობენ ამ სენთა წინააღმდეგ.

*** ამას წინად ჩვენის ქალაქის გამგეობამ გარდასწყვიტა, დიდუბის მემამულენი მოიწვიოს და მათთან ერთად მოილაპარაკოს იმის შესახებ, რომ დიდუბის განაპირა ადგილამდის გზა-ტკეცილი იქმნას გაყვანილიო. როგორც გვატყობინებენ, ამ საგნის შესახებ 2 აპრილს ექმნებათ მოლაპარაკება.

*** „ტფ. ფურც.“-ს პეტერბურგიდგან სწერენ: სახალხო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული, რომ კავკასიაში სახალხო სასწავლებელთა რიცხვი გამრავლდესო. კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსი ატყობინებს ხსენებულს სამინისტროს, რომ ხალხში სწავლის სურვილი ძლიერ არის აღძრული, მაგრამ რადგან სიღარიბე ხელს უშლის, რომ სასწავლებლები თავისის ხარჯით დამართონ, მთავრობისაგან თხოულობენ დახმარებასაო. ხოლო რადგან სამოსწავლო ოლქის უწყებას წლიურად მხოლოდ 20,000 მან. ეძლევა, რომელიც არსებულ სასწავლებელთა საჭიროების დაკმაყოფილებასაც ძლივს-ძლიობით ჰყოფნის, მთხოვნელთა სურვილს ვერ აკმაყოფილებსო. ამისათვის საერო-განათლების სამინისტრო სახელმწიფო საბჭოში შუამდგომლობს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსს ხალხის განათლებისათვის მომეტებული ფული მიეცესო.

*** 21 მარტს ტფილისის უსინათლოთა სასწავლებელში გარდაიხადეს პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ თავსმჯდომარე ე. ბ. შერემეტიევისა, ამისი თანაშემწე და სხვანი წარჩინებულნი. ამ დღეს შესრულდა ოთხი წელიწადი, რაც ტფილისში დაარსდა ეს სასწავლებელი. ამ სასწავლებელში იღებენ ქალებს და ვაჟებს წოდების და ეროვნების განურჩევლად. ახლა ამ სასწავლებელში ოც-და-ათამდე ბრმა ქალი და ვაჟი სწავლობს: წერა-კითხვას, ჰრაკერვას, ჩულქებისა და არშიების ქსოვას, კალათების, ზამბილების, ხახლების და სკივრების დაწნას, ხალიჩების ქსოვას და სხვ. გასაოცარის სინამდვილითა და სისუფთავით არის გაკეთებული ყოველი მათი ნაწარმოები. ამ უსინათლოთაგანვე შემდგარია მგალობელთა გუნდი ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძისაგან, რომელიც ოთხი წელიწადია რაც მიწვეულია გალობის მასწავლებლად. ჩინებულად არის გაწყობილი ეს გუნდი. ჰგალობენ ქართულს და რუსულ სახალხო სიმღერებს ისე მშვენივრად, რომ კაცს ყური აღარ უნდა მოაშოროს. ჩვენ ყველაზედ უფრო გაგვაკვირვა უსინათლოთაგან მთელის წირვის გალობის მოსმენამ. თუმცა უსინათლონი ლოტბარის ხელს ვერა ჰხედავენ, მაგრამ ყველანი თავისს დროზედ იწყებენ და გალობის წესებს უნაკლულოდ ასრულებენ. ხორო შესდგება ოცამდე უსინათლოსაგან. ძალიან კარგს იზამდნენ, რომ უფრო ხშირად გაგვაგონებდნენ წირვაზედ ამ უსინათლოთა გალობას, რათა ყველამ გაიგოს ამ სასწავლებლის არსებობა და თავიანთის ტკბილის გალობით დაიმსახურონ საზოგადოების თანაგრძნობა. დასასრულ ვისურვებთ წარმატებასა და დღეგრძელობას ამ ფრიად სასარგებლო და კეთილ დაწესებულებისას, საიდგანაც არა ერთი უსინათლო გამოიტანს ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნა-ხელობას და ამითი მათხოვრობის გზას ასცდება.

*** ქალაქის ხმოსანთა არჩევნები ახალს სახელმწიფო თეატრში მოხდება.

*** კნეინამ მარიამ ვახტანგის ასულმა ორბელიანისამ მიჰმართა კავკასიის ოლქის მზრუნველს და სთხოვა გვიშუამდგომლეთ მთავრობასთან, რომ სოფ. ლამისყანაში სკოლის აშენებაში დაგვეხმაროსო. თავ. ორბელიანთ და ერისთავებს შეუწირავთ სკოლისათვის ადგილი და ხე-ტყე, ხოლო იმ პირობით, რომ გლეხებმა ხე-ტყე მიიტანონ შენობამდე. სკოლის შენობა მთავრობას დაუჯდება 1,200 მან. ტფილისის გუბერნატორმა მისწერა გორის მაზრის უფროსს, უბძანეთ ლამისყანის გლეხობას, იკისრონ შენობამდე საჭირო მასალის მიტანა და ამით დაეხმარნენ სკოლის აშენებასაო.

*** 12 მაისს სიღნაღში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება შაქრო სიბაშვილის, ნიკოლოზ ხარატიშვილის, მოსე ხოტიაშვილისა

## ფელეტონი

—

### ჩემი ქორწინება

რონის ნაამბობი.

ჩემი პირველი ქორწინება სულ რამდენსამე საათს გაგრძელდა. მაგრამ ეს იყო ნამდვილი კანონიერი ქორწინება, ეს იყო ერთი უკეთესთაგანი საქციელი ჩემს ცხოვრებაში. მე ბევრი ცოდვა მეპატიება იმ ბედნიერებისათვის, რომელიც მივანიჭე ჩემს დღე-მოკლე პატარა მეუღლეს

იმ დროს თეთრად ვაწერინებდი ჩემ ფილოსოფიურს თხზულებას ერთს მოხუც მწერალს, რომელთანაც ხშირად დავდიოდი ხოლმე. ეს იყო ერთი პატიოსან კაცთაგანი, რომელიც, რაღაც უბედურის შემთხვევის გამო, იძულებული იყო ასეთის მძიმე შრომით ეშოვნა ლუკმა-პური. ჩემს მოხუც მწერალს უყვარდა თავისის თავ-გადასავალის შესახებ საუბარი და მეც დიდის სიამოვნებით ყურს ვუგდებდი ხოლმე, რადგანაც მეტის-მეტად გრძნობით ლაპარაკობდა. როდესაც მოხუცი საუბრობდა, მისი ნაზი და მორიდებული ქალიშვილი იმისს საქმეს ასრულებდა, სწერდა საჭირო ქაღალდებს. მარტოკა ქალი მამის სახლში სულ ორჯელ, თუ სამჯერ ვნახე და ყოველთვის ჩემი იქ ყოფნა ქალს არა ჩვეულებრივად აღელვებდა. იგი მეტად მშვენიერი იყო, განსაკუთრებით მშვენიერი ნაზი თვალები ჰქონდა. მეც ვიგრძნე, რომ გული მისკენ მიზიდავდა, მაგრამ თავი მალე შევიმაგრე. დიდი უსინიდისობა იქნებოდა ჩემის მხრივ, რომ ის უმანკო არსება საყვარლად გამეხადა. ყოველთვის ზრდილობიანად ველაპარაკებოდი და იქნება როგორმე ვაგრძნობინე კიდეც, რომ მე იგი მშვენიერ არსებად მიმაჩნდა.

ჩქარა გავემგზავრე სხვაგან. გავიცანი ერთი ქალი, რომელიც შემიყვარდა და კიდაც დავინიშნე; ვიდრე ჯვარს დავიწერდი, პარიჟში დავბრუნდი, რომ ზოგიერთი ქაღალდები რიგზედ მომეყვანა. დილით იმავე დღეს, რა დღესაც მე მივედი, ჩემი ოთახის კარები დარახუნდა და კარებში ჩემი მოხუცი მწერალი გამოჩნდა. საწყალი ძალიან დაღონებული იყო, გამხდარიყო, თვალები ცრემლისაგან ჩასწითლებოდა და საფეთქლები ჩასცვივნოდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, სთქვა მან: გთხოვთ მაპატიოთ, რომ უდროოდ მოვედი თქვენთან... ჩემი ქალი კვდება! იგი საავადმყოფოშია... მე მოვედი სათხოვნელად, შესახვეწნელად...

იგი შესდგა, რაღაცას ლუღლუღებდა; იმისს თვალებში აშკარად იხატებოდა თხოვნა-ვედრება. შემდეგ უცებ სთქვა:

— ჩემს ქალს უყვარხართ!.. ჩემის აზრით, კარგი იქნება, რომ იმისის სიკვდილის წინად...

ერთი წუთი დრო არ მომცა დავკვირვებოდი იმისს სიტყვებს და მაშინვე დაიწყო ისეთის დაწვრილებით მოთხრობა ამ სიყვარულისა, რომ ბოლოს მეც ცრემლები ღაპაღუპით ჩამომცვივდა.

— გინდათ იგი ჰნახოთ? საწყალი ისეთს მედნიერებას იგრძნობს თქვენის ნახვით!.. სულ რამდენსამე კვირას ძლივს-ღა იცოცხლებს!

ერთის საათის შემდეგ მივედი ყმაწვილ ქალთან. რა სამწუხარო სანახავი იყო საწყალი! სიკვდილს უკვე თავის დაღი დაესვა. როდესაც დამინახა, მისი მილეული თვალები აინთო, მაშინვე მიჰხვდა, რომ მამას მისი საიდუმლო გაუმჟღავნებია. საწყალმა მომითხრა თავისი სიყვარული, ამიწერა თავისის სულის წუხილი და სამწუხარო მოთხრობა სიყვარულისა, სავსე გრძნობითა. მისი ლამაზი, ღონე მიხდილი თავი, მისვენებული ბალიშზედ, საოცარი ჟუჟუნა თვალები და პატარა ნაზი ტუჩები ერთის საათის განმავლობაში გულს მიდაგამდა.

— თქვენ-კი არა დროს... არა დროს?

რა მეპასუხა? რა მექნა? თუ სიმართლეს ვეტყოდი, მისი ჯალათი ვიქნებოდი, თუ სიცრუეს,—მისი ნუგეშინის მცემელი. სიცრუის თქმა ვარჩიე.

— მეც დიდი ხანია მიყვარხარ!

— მართლა?

— მართლა!

ვნახე სიხარული, რომლის მსგავსს თავისს დღეში ველარ ვიხილავ ამ ქვეყანაზედ, ვნახე სიხარული იმედმიხდილის ადამიანისა. იმ წუთში თუმცა იგი არ მიყვარდა, გულში მაინც რაღაც სითბო ვიგრძენ.

და მაქრო ჩალატაშვილის საქმეს განიხილავს, რომელთაც სოფ. ვეჯინის მღვდლის ქრისტესია ასათიანის მოკვლა და გაძარცვა ჰბრალდებათ. ამ საქმის თაობაზედ 97 მოწმეა დაბარებული.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს კავკასიის საფილოქსერო კამიტეტის დადგენილება დაუმტკიცებია იმის შესახებ, რომ სოფ. ქორეისუბანში ამერიკის ვაზის სანერგე გაიმართოსო.

*** შორაპანი: 22 მარტს, დილის 4 საათსა და 40 წუთს, სად. შორაპანში საქონლის მატარებლის ქვეშ მოჰყვა შორაპნის მაზრის სოფ. ჭორველაში მცხოვრებელი გლეხი ივანე კიკოს ძე ტყემალაძე, 50 წლისა, რომელსაც უმწეოდ დარჩა 9 სული წვრილშვილი. მატარებელმა მოსწყვიტა მარცხენა ფეხი ბარძაყში და მაშინვე გაჰგზავნეს ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში.

*** როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ.“ გვაუწყებს, ფინანსთა სამინისტროს არ შეუწყნარებია ფოთის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ფოთში საკრედიტო საზოგადოების დაარსების ნება მოგვეცით, რომლიდგანაც უძრავი მამულის გირავნობით მსურველთ დიდ-ვადიანის სესხის მიღება შეეძლოთო. სამინისტრო უარის თქმას იმით ასაბუთებს, რომ ფოთი პატარა ქალაქია, იქაურ მკვიდრთა რიცხვი ერთობ ცოტაა და უძრავი მამულიც ბევრი არ არისო.

*** სოფ. ალაიანის (გორის მაზრაშია) სანერგეს გამგეს თავ. ანდრონიკაშვილს ამავე სანერგესათვის ამერიკის ვაზის 2,000 ძირი ნერგი მიუღია, ანჩიკულახის სანერგედგან (სტავროპოლის გუბერნიაშია) გამოგზავნილი.

*** ხვალ, 28 მარტს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში ამავე საზოგადოების მორიგი კრებაა დანიშნული. კრება განიხილავს: მიმდინარე საქმეებს, ა. ა. ქალანთარის მოხსენებას წველა-ღლვების შესახებ და კომისიის მოხსენებას ცხვრის პატრონთათვის წესდების შემუშავების შესახებ.

კრებაზედ დასწრების ნება კერძო კაცთაცა აქვთ.

*** როგორც გვაუწყებენ, ბათუმის ქალაქის გამგეობას საერო განათლების სამინისტროსაგან ცნობა მიუღია, რომ ბათუმში სავაჟო კლასიკური გიმნაზიის დაარსება ნება-დართული არისო. ამ ამბავს ბათუმის ყველა წოდების მკვიდრნი დიდის აღტაცებით მიჰგებებიან.

*** გაზ. „ჩერნ. ვედ.“-ს სიტყვით, 22 მარტს გენერალ-ლეიტენანტს გ. რ. ვასმუნდტს ბათუმის კარანტინი და ბურუნტაბის კონცხი დაუთვალიერებია და უბრძანებია, რომ ხსენებულს კონცხზედ რაც ხის შენობაა და კერძო კაცთა საწყობები, 24 საათის განმავლობაში გადაიტანონ, რათა საკარანტინე ადგილი გაფართოვდესო. გენერლის ბრძანება დაუყოვნებლივ იქმნა შესრულებულიო.

*** გაზ. „რუსის“ სიტყვით, მთავრობას განზრახვა აქვს, — კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილას მრავალი სასოფლო-სამეურნეო, მეღვინეობის, საკომერციო და ტეხნიკური სასწავლებელი დააარსოს. რამოდენიმე ასეთი სასწავლებელი მომავალი სამოსწავლო წლიდგან გაიმართება.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ამ მოკლე ხანში 12 ახალგაზდა ექიმი ჩამოვა ბაქოს, რომელთაც ექიმობის სურვილი განუცხადებიათ, თუ ვინიცობაა კავკასიაში შავი-ჭირი გაჩნდა. იმათთან ერთად რამდენიმე ახალგაზდა ქალიც აპირებს თურმე წამოსვლას, რომელთაც სურთ მოწყალების დათა მოვალეობა იკისრონ.

*** ქ. კავკავი. 20-ს ამ თვეს ღამე, კავკავის განაპირას, სალდათოვის წისქვილი გასტეხეს ქურდებმა, გაიტანეს რვა ტომარა წმინდა ფქვილი და ურმებთან მიიტანეს. მეორედაც მობრუნდნენ, მაგრამ მეწისქვილემ გაუგო და გამოეხმაურა. ამ დროს ქურდებმა მეწისქვილეს დაახალეს ბერდანის თოფები, მაგრამ ტყვია სავსე ტომრებს მოხვდა და გადარჩა მეწისქვილე. ურმების კვალს მიჰყვნენ, მაგრამ ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ და არ იციან რომელ სოფლიდგან იყვნენ. კავკავში წითელა არის მოდებული, მაგრამ ზარალს ბევრს არას იძლევა.

ამ ჟამად კავკავში ძრიელ მშვენიერი ამინდი სდგას. ფიცხელი ყურადღება არის მიქცეული, რომ ეზოები და ქუჩები რიგიანად იწმინდებოდეს.

## ქალაქის საბჭო

კრების დაწყებისათანავე მდივანმა ბ-ნ ჰრელაშვილმა წაიკითხა იმ ხმოსანთა სია, რომელნიც 10 და 17 მარტს საბჭოში არ გამოცხადდნენ. საბჭომ ამათ დაუსწრებლობის მიზეზი პატივსადებადა სცნო.

თავმჯდომარემ საბჭოს ხმოსან ნ. ბ. ხოსროევის გარდაცვალება ამცნო და აღნიშნა-რა, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს ქალაქის წინაშე, ხმოსანთ სთხოვა, — ფეხზე წამოდგომით პატივი ვსცეთ განსვენებულსო. საბჭომ ეს წინადადება შეასრულა.

გამგეობის წევრმა ქ. ა. ვერმიშევმა საბჭოს მოახსენა, რომ გამგეობამ გარდასწვიტა, — საინჟენერო მმართველობას ქალაქის ერთი ნაჭერი მიწა დაუთმოს, გეგმის ზომით 4,925 ოთხ-კუთხი საჟენი, და ნაცვლად ამისა ხსენებულ მმართველობისაგან სხვა ნაჭერი მიწისა, 8581 ოთხ-კუთხი საჟენი გამოართვას, რომელიც კუკიის სასაფლაოს სამზრუნველოს უსასყიდლოდ უნდა დაეთმოსო.

საბჭომ ეს მოხსენება შეიწყნარა.

თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ ქალაქს ბ-ნ ყორღანოვის წყლის არხების ვალი 56000 მან. ჰმართებს, რომლის გასტუმრების ვადა ეხლა არისო. ამის შესახებ ბ-ნ ყორღანოვთან მოლაპარაკება გვქონდა და ის თანხმაა, — ეს ფული ორს ვადაზედ მივცეთ, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ რამდენს სარგებელსაც საკამერციო ბანკი იძლევა, ჩვენც იმდენი გარდავუხადოთო.

ბევრის სჯა-ბაასის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ყორღანოვს ორს ვადაზედ მიეცეს ფული, თითო ჯერობაზედ 28160 მან., ე. ი. სულ 56000+320 მან.

ბოლოს ქალაქის შემოსავალი და გასავალი დაუთანაბრეს ერთი მეორეს და აღმოჩნდა, რომ შემოსავალს გასავალი 128,413 მან. სჭარბობს. ამის შესახებ გამგეობამ საბჭოს სთხოვა, — გამოვარკვიოთ ღონისძიებანი ამ დეფიციტის თავიდგან ასაშორებლადო.

ამ საგანმა ერთობ დიდი სჯაბაასი გამოიწვია და შემდეგ ბევრის ლაპარაკისა საბჭომ შემდეგი ზომების მიღება სცნო საჭიროდ:

1) დასაფასებელს გარდასახადს იმის $^1/_8$ მიემატოს, რასაც მამულის პატრონი ეხლა იხდის.

და 2) უძრავი მამულები ხელ-ახლა დაფასდეს, რადგან ზოგი მამული ქალაქის სიებში სრულებით არ არის შეტანილი და ასეთი მამულის პატრონი სულ არაფერს იხდის და ბევრიც კიდევ ძალიან მცირე ფასად არის დაფასებულიო. რაც ამ დაფასებისთვის ხარჯი მოგვივა (23,280 მან.), ამ წესით შევავსოთო: 10,000 მან. იმ თანხიდგან გარდაიდოს, რომელიც მილის წყალზედ ფასის მომატებით შემოუვა ქალაქს, და დანარჩენი 13,280 მან. იმ ფულიდგან — რომელიც ქალაქს ახალ დაფასებიდგან შეეძინებაო.

ამითი დასრულდა კრება.

## ტფილისის სამეურნეო-საკრედიტო საზოგადოების წლისთავის კრება.

კრება დაიწყო 23 მარტს თორმეტის საათის ნახევარზე მით, რომ თავმჯდომარემ საზოგადოების საბჭოისამ ბ-ნმა ივ. თულაშვილმა გამოაცხადარა, რომ კრება, აწ შეკრებული, კანონიერია, სთხოვა კრებას თავ-მჯდომარე კრებისა ამოერჩივა. ერთხმად ამორჩეულ იქმნა თ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილი, რომელმაც დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი თუ არა, სთქვა: „ვინც დღეს აქა ბრძანდება და ან საზოგადოების წევრი არ არის, ან არის და ხმა არა აქვს, ვთხოვ უკანა რიგში დაბრძანდეზნ, რომ თუ ვინიცობაა ადგომ-დაჯდომით მოგვიხდება საქმეთა გადაწყვეტა, ვიცოდეთ ვისთანა გვაქვს საქმე“. ზოგიერთ რიგიდამ აიშალნენ და გადავიდნენ უკან. მერე თავ-მჯდომარემ სთხოვა კრებას მდივანი ამოერჩივა და ერთხმად აირჩიეს თ. ნ. მ. ჯორჯაძე.

ბ-ნმა თავმჯდომარემ დაასახელა იგი საგნები, რომელიც უნდა მოხსენებოდა კრებას. პირველ საგნად აღმოჩნდა წლიური ანგარიში საკრედიტო საზოგადოების ოპერაციებისა. ამ საგანზე საუბარი მით დაწყებულ იქმნა, რომ გამგეობის წევრმა ბ-ნმა ვლ. მიქელაძემ წაიკითხა სარევიზიო კამისიის მოხსენება. სარევიზიო კამისია ჰმოწმობს, რომ მის მიერ გასინჯული წლიური ანგარიში, ბუხგალტერის წიგნებთან, შემოსავალ-გასავალთან და აგრეთვე საქმეთა წარმოებასთან შემოწმებული, წესიერი და სწორეა. ამის შემდეგ ბ-ნმა ვ. ყიფიანმა წაიკითხა მოხსენება გამგეობისა. ბ-ნი თავმჯდომარე დაეკითხა კრებას: აქვს ვისმე რაიმე სათქმელი წლიურის ანგარიშის გამო, თუ არა? არავინ არას ამბობს.

ბ-ნი ჯიჯავაძე: ჩვენთვის უქმი იქმნება თვითეული მუხლი ანგარიშისა განვიხილოთ, ამას ბევრი დრო მოუნდება და, ვგონებ, არც საჭირო იყოს, რომ ამაზე მოსცდეს ამოდენა კრებული. წლიური ანგარიში შეუდგენია გამგეობას, საბჭოს გაუსინჯავს, სარევიზიო კომმისიას გამოუძიებია ყველაფერი. წევრნი, როგორც გამგეობისა, ისეც საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა ჩვენი ამორჩეული და მაშასადამე, ჩვენი სანდო კაცები არიან. ყველანი ესენი გვეუბნებიან, რომ ანგარიში სრულად ეთანხმება წიგნებსა და საქმეთა წარმოებას და სწორეა ყველაფრითაო. განა იმათი სიტყვა ჩვენთვის საკმაო არ არის! ჩვენ მოვალენი ვართ, მივენდნეთ ჩვენს ამორჩეულ კაცებს მით უფრო, რომ აი ამოდენა კრებაში ერთი კაციც არ აღმოჩნდა ეთქვა რამ ანგარიშის წინააღმდეგი. ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, რომ ჩვენის საქმის მართველთა მადლობა გამოვუცხადოთ საქმის ასე კარგად წაყვანისათვის და ანგარიში დავამტკიცოთ. დავანებოთ თავი ტყუილ-უბრალო გამოკიდებას. მოგვაბეზრა სხვაგანაც თავი უადგილოდ და უსაფუძლოდ ლაპარაკმა და აქ მაინც ნუ მოვყვებით ჩხუბსა და დავიდარაბასა.

კრებამ მოუწონა ბ-ნ ჯიჯავაძეს სიტყვა და ერთხმად დაამტკიცა წლიური ანგარიში.

ერთმა წევრმა ამის შემდეგ იკითხა: ვთხოვ გამგეობას ამიხსნას რამდენად მართალია „ტფილ. ლისტოკ-ში“ დაბეჭდილი შენიშვნა მასზე, ვითომც გამგეობა თითქო მალულად მოქმედებდა და თავისს დროზე არ გამოაცხადა არც დღე კრებისა და არც არავის აცნობა თავისი წლიური ანგარიშიო.

ბ-მა ვ. რ. ყიფიანმა აუხსნა კრებას გარემოება საქმისა ამ მხრით და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი თავისის წესით და რიგით შეუსრულებია თავისს დროზე გამგეობას.

მეორე განსახილველი საგანი იყო მოხსენება გამგეობისა შესახებ სათადარიგო თავნის შედგენისა. გამგეობა თვისს მოხსენებაში ამტკიცებდა — რა დიდი მნიშვნელობა აქვს სათადარიგო თავნ-ფულს ბანკის სიმტკიცე-სიმაგრისთვის და მაშასადამე იმ ნდობისათვის, რომელიც ასე საჭიროა, რომ საზოგადოებამ ბანკს მიანდოს და მიაბაროს თავისი ფული და ამით განუძლიეროს ბანკს ღონისძიება აპერაციების გაძლიერებისათვის. ჩვენი ბანკიო, ამბობს გამგეობა, ახალი საქმეა. იმ გზით შექმნა სადარიგო თავნისა, რომელიც ნაჩვენებია წესდებაში და რომელიც მარტო მოგებიდამ უნდა შესდგეს, ძალიან ძნელია, რადგანაც დიდის მოგების იმედი ამ პირველს ხანებში მოსალოდნელი არ არის, მაშასადამე, სათადარიგო თავნი ამ გზით დაგვიან-

საუბედუროდ, შემდეგ ეჭვმა გაიკეთა ბინა იმის გულში, იგი მეკითხებოდა: ჩემზედ როდისმე ჯვარს დაიწერო? შევფიცე. მან სასოებით გაიცინა და ღმერთს შეევედრა. ერთხელ ის ისე ნაზად მეალერსებოდა და შემხაროდა, რომ მოვინდომე სრულიად გამებედნიერებინა საწყალი, რადგანაც ჩემთვის ეს დიდი რამე არ იყო, მით უფრო, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო.

წავალ ეკკლესიაში და გამოვაცხადეზ ჩვენს ჯვარის-წერას, შევძახე. მისი სიხარული აუწერელი იყო. მთელი მისი პირისახე სიოცარის ცეცხლით გაბრწყინდა. სიხარულისაგან ხან ტიროდა, ხან იცინოდა და ხან გულში მიკრავდა. თითქოს საწყალი ქალისათვის მთელის საუკუნის სიცოცხლე მეჩუქებინოს სავსე სიხარულითა და სიამოვნებით.

ჩემის მამობილისაგან ნება-რთვა მივიღე ქორწინებისა და რაც შეეხება ჩემს დანიშნულს, იმას არაფერი გაუმჟღავნე, რადგანაც იმედი მქონდა, რომ ჩემს დანაშაულს მაპატიებდა. მოვემზადე ქორწილისათვის.

შემდეგ, ბოლო კვირეებში მისი ავადმყოფობა თითქოს ცოტათი მინელდა. პირი-სახე ნათლით შეემოსა, იმისი სილამაზე თვალებს მიჰრელებდა. საწყალი ისე მეალერსებოდა, როგორც დედა თავის პატარა ყმაწვილს, რომლის სიცოცხლის დღეები დათვლილია. გადავაყვანინე იგი ცალკე ოთახში, სადაც უკეთესი ექიმები სწამლობდნენ და მეც უმეტესს დროს იმასთან ვატარებდი. ვერა ვშორდებოდი, რადგანაც ჩემი თითო სიტყვა, მიხვრა-მოხვრა მისთვის ნეტარება იყო და ვერა ვბედავდი ეს სიამოვნება მომეკლო.

ამ ნაირად მიდიოდა დრო. ბოლოს დადგა სასურველი დღე. საწყალ ქალს ჩააცვეს სადედოფლო გრძელი ტანისამოსი. ბედნიერება ემჩნეოდა, ერთს საათში ოცის წლის სიცოცხლე გამოიარა... მისი ჟუჟუნა თვალები და მომღიმარე ტუჩები მშვენიერი სანახავი იყო. გულ-მოდგინედ უგდებდა ყურს მღვდლის მიერ წაკითხულს ლოცვებს. ჩვენი თითები ერთი ერთმანეთს მიეხალნენ — ის მთელის ტანითა თრთოდა, როდესაც სთქვა „მსურსო“. ამ სიტყვაში გამონასკვა თავისი გულისთქმა და ყოველივე სიკეთე თავისის არსებისა. შემდეგ იგი ჩამოჯდა, რადგანაც ღონემ უღალატა, სიკვდილის ჩრდილი გადაეფარა იმისს სახეს, ლოყები გაულურჯდა და საფეთქლები ღრმად ჩაუცვივდა. მაგრამ ვერა გრძნობდა სიკვდილის მოახლოვებას. წინანდებურად ბედნიერად მიაჩნდა თავი და ღვთაებრივ ძილს მიეცა. ძლიერ შევკრთი, როცა მოვიდა დრო სულისა და ხორცის გაყრისა. ხელში მისი ბრწყინვალე თავი მეჭირა დიდრონის გახელილის თვალებით და გაშლილის თმებით.

საღამოზედ მან ძლივს წამჩურჩულა: „გიყვარვარ ჟაკ? გიყვარს შენი საწყალი ქალი?

ღმერთო ჩემო!... ჩვენ დიდხანს, დიდხანს უნდა ვიცოცხლოთ.... ვგრძნობ, რომ არ მოვკვდები“...

მისი სხეული თან-და-თან ცივდებოდა და საწყალი მაინც იმეორებდა: არ უნდა მოვკვდეო! ღიმილი მისის პირისახისა და შორს გაპყრობილი თვალები მარწმუნებდა, რომ საბრალო ქალი განუსაზღვრელს ბედნიერებასა და ნეტარებას ჰგრძნობდა. გული დამეწვა და დამედაგა.

გაისმა კიდევ ჩურჩული:

— მე მიყვარს... სოფლად ვიცხოვრებთ... ყვავილები...

სთქვა ეს და ჭრაქივით გაჰქრა ჩემი საბრალო დღე-მოკლე მეუღლე.

დარო

დება. საჭიროა-კი, რომ ამისათვის ეხლავ რაიმე ღონე გვეპოვნოს. ღონედ გამგეობას ის უპოვნია, რომ ყოველმა წევრმა თავისის კრედიტის კვალობაზე ყოველ წლივ მანეთზე ორი შაური შემოიტანოსო, მაგალითებრ ვისაც ათი თუმანი აქვს საწევრო ფული შეტანილი, იმან წელიწადში თითო თუმანი კიდევ შემოიტანოსო და ამ ფულით შევადგინოთ სათადარიგო თავნიო.

ბ-ნი სავანელი: ვთქვათ ეგ დავადგინეთ, სავალდებულო-კი იქნება მაგისთანა წესი ყველა წევრთათვის?

ბ-ნი კ. ყიფიანი: ზნეობითად მოვალენი ვიქნებით ყველანი და, რასაკვირველია, აქ პოლიციურს ღონისძიებას ვერ ვიხმართ.

ბ-ნი ალ. კობიაშვილი: ეგეთის წესის შემოღება უსაფუძვლოა და შეუსრულებელი. თვით მაგგვარად შედგენილ სათადარიგო ფულისა მე არა მწამს-რა. არა მგონია, მაგ გზით საქმემ წინ წაიწიოს, როგორც გამგეობას ჰგონია. მე უარს ვყოფ თვით საჭიროებას სათადარიგო თავნისას, ნამეტნავად ამისთანა გზით. ამიტომ, ჩემის აზრით, გამგეობას უარი უნდა ეთქვას მაგ საგნის გამო.

ბ-ნი თოიძე: მე უსწავლელი კაცი ვარ და არ მესმის ეგ რაღაც პროცენტებია. მე გთხოვთ პირდაპირ ამიხსნათ მანეთობით და აბაზობით მე რა მექმნება ყოველ წლივ შემოსატანი, ეგ წესი რომ მივიღოთ.

თ. ვ. მიქელაძემ ეს ალსახსნელი აუხსნა.

ბ-ნი იოსელიანი: საჭიროა და სასარგებლოც საქმის გაძლიერებისათვის სათადარიგო თავნი მალე გავიჩინოთ. გამგეობა ამის გამო თავისს სარჩიელს გვეუბნება. თუ დავეთანხმებით და სარჩიელს მივიღებთ, ჩვენი განაჩენი სხვა წევრთათვის სავალდებულო იქნება. იმიტომ ითხოვს გამგეობა ჩვენს განაჩენს, რომ იგი ყველასათვის სავალდებულო შეიქმნეს.

ბ-ნი პ. რ. ყიფიანი: ყველამ იცის რა ბურჯია ბანკისათვის სათადარიგო თავნი. მისი საჭიროება ყოველს ეჭვ გარეშეა. ხოლო მაგ რიგად შედგენა მისი, როგორც გამგეობა ჰფიქრობს, შეუძლებელია. გამგეობას რა ღონე აქვს, რომ თუნდაც ჩვენი განაჩენი ექიროს ხელში, ეგ მეტი ფული შემოატაინოს იმასაც, ვინც უარზე იქნება. და თუ ზოგი შემოიტანს და ზოგი არა, ეგ უსწორ-მასწორობა და უსამართლობა იქმნება. ისევ ისა სჯობია ეგ სათადარიგო თავნი შესდგეს სხვა წესით, რომელსაც ამოქმედებდა აქაური საურთიერთო კრედიტის საზოგადოება: სარგებელი მოვუმატოთ გასასესხებელ ფულსა. ვინც ჩვენის ბანკისაგან ფულს ისესხებს, იმან, ვთქვათ, ერთი პროცენტი მეტი შემოიტანოს და აქედამ შევადგინოთ სათადარიგო თავნი.

ბ-ნი ბერულაშვილი: მე თანახმა ვარ ყიფიანისა, რომ საჭიროა სათადარიგო თავნი გვქონდეს. ხოლო ის 1%-ი, რომელსაც ბ-ნი ყიფიანი ამბობს, სესხად გაცემულ ფულს მოვუმატოთო, ვერ გადიდება მაგ თავნის შესადგენად, იმიტომ-რომ ეგეც უკანონო იქნება.

თ. ი. ჭავჭავაძე: ბ-ნ სავანელის მიერ თქმული საყურადღებოა და მაგას ორ ნაირი პასუხი აქვს. ერთი ის არის, რომ საზოგადო და კერძო კანონითაც, თუ კრება მის მიერ მინიჭებულ უფლებას არ გადავა და დაადგენს რასმე, ყველა წევრთათვის სავალდებულოა. ამ შემთხვევაში ბ-ნ სავანელის სიტყვა უქმია და უადგილო. სულ სხვაა, როცა ყოველს აქ დადგენილ განაჩენს კანონის თვალით გავსინჯავთ, ესე იგი, ვკითხავთ: საგანი, რომლის გამოც ჩვენი განაჩენი შესდგა, ექვემდებარება კრებას, თუ არა. თუ არ ექვემდებარება, ყოველივე განაჩენი თუნდ ერთხმად დადგენილი, უკანონო იქნება და, მაშასადამე, არც სავალდებულო არავისათვის. ჩვენის საზოგადოების წესდებაში მარტო ერთი წყაროა ნაჩვენები, საიდამაც უნდა შესდგეს სათადარიგო თავნი: იქა სწერია, წმინდა მოგებიდამაო. აი ყველა წევრნი მოვალენი არიან მოგებიდამ ფული გადასდონ ასის თავზე არა ნაკლებ ათისა მაგ სათადარიგო თავნის შესადგენად. სხვა მოვალეობას ამ თავნის შესადგენად კრება ჩვენი ვერ აკისრებინებს ვერავის. ამ მხრით სიტყვა ბ-ნ სავანელისა საბუთიანია. ბ-ნ პ. რ. ყიფიანის აზრს მე ვეთანხმები მარტო იმაში, რომ იმ გზით შეგროვება სათადარიგო თავნისა უსაფუძვლოა. ხოლო მის მიერ ნაჩვენები გზაც კანონიერი არ არის. შესაძლოა, რასაკვირველია, გასესხებულ ფულს სარგებელი მეტი დავადოთ, ხოლო წესდებით ის ნამეტანი მთლად და პირდაპირ ვერ მიეცემა სათადარიგო თავნს. იგი ერთობ მოგებაში უნდა ჩაითვალოს, აქედამ ყოველი ხარჯი და ზარალი გასტუმრებულ იქმნას და რაც ძირს დარჩება წმინდა მოგება, იქიდამ წესდებაში ნაჩვენები პროცენტი გადიდვას სათადარიგო თავნად.

ბ-ნი პ. რ. ყიფიანი: წესდებაში სწერია, რომ ამისთვის არა ნაკლებ ათის პრაცენტისა უნდა გადიდვასო. მაშასადამე, მეტი ყოველთვის შესაძლოა.

თავ. ილ. ჭავჭავაძე: მართალია, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ეგ ათს პროცენტზე მეტი მაინც წმინდა მოგებიდამ უნდა გადიდვას და არა ცალკე რომელიმე წყაროდამ. თუ წმინდა მოგება ოცი ათასი მანეთი იქნება, შეგვიძლიან სულ ოცი ათასი მანეთი მაგ თავნისათვის გადავდოთ. ხოლო წამატებული სარგებელი თუნდ ოცი ათასი თუმანიც იყოს, აქედამ ერთს გროშსაც ვერ გადავდებთ სათადარიგო თავნისათვის, თუ მოგება ან სულ არ არის, ან ნაკლებია. გარდა ამისა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ სათადარიგო თავნი თუმცა კარგია რომ გვქონდეს, მაგრამ მარტო მაგითი არ იკვეხება იგი ნდობა, რომელიც მოიზიდავს ხოლმე ბანკში ფულებს მოსაბარებლად და რომელიც ერთობ ესტიბარს უკეთეს ბანკსა. აქ საჭიროა საზოგადოების რწმენაც, რომ გამგენი ბანკისანი არა რისათვის არ გადავლენ კანონს, გულ-მოდგინეთ ჰპატრონობენ და უვლიან მათთვის რწმუნებულს საქმეს, საქმეს გაგებით, სიფრთხილით და ცოდნით უძღვებიან. ყოველივე ეს, თუ მეტი არა, სათადარიგო თავნზე ნაკლებ სამსახურს არ უწევს საკრედიტო დაწესებულებას ესტიბარის მკვიდრად დადგენისათვის და ნდობის გაძლიერებისათვის. მე მგონია, ყოველივე ეს თვისება და ღირსება გამგეობისა, თუნდ სათადარიგო თავნიც არ იყოს, შემძლებელია საკრედიტო დაწესებულება მაგარს ნიადაგზე დააყენოს. ამიტომაც მე ვეთანხმები ბ-ნს კობიაშვილს, რომ სათადარიგო თავნი ისე საჭირო არ არის, რომ მისის გულისათვის იმ ზომიერებას მოვკიდოთ ხელი, რომელსაც გამგეობა გვირჩევს.

თ. ვ. მიქელაძე: ჩვენც კარგად ვიცოდით და მოხსენებაშიაც ვთქვით, რომ წესდება ნებას არ გვაძლევს ჩვენ მიერ ჩვენებულ გზით შევადგინოთ სათადარიგო თავნი. მაგრამ მრავალი შემთხვევა ვიცით, რომ ჩვენისთანა საკრედიტო დაწესებულებას სათადარიგო თავნისათვის ფული პირდაპირ აუღიათ და შეუტანიათ. ამისი მაგალითი ზოგიერთი ეგრედ წოდებული „Земское кредитное общество“ არის. იქ პირდაპირ რამდენიმე ათასი მანეთი შეუტანია „Земство“-ს და დაუარსებია სათადარიგო თავნი.

თ. ილ. ჭავჭავაძე: თუ ეგ სადმე მომხდარა, იქ ფული მზად ყოფილა. ჩვენც რომ ფული მზადა გვქონდეს, მისს დადებას სათადარიგო თავნად ჩვენც არავინ დაგვიშლის. აი ერთი ოცი ათასი მანეთი რომ მქონდეს და მე შევიტანო ჩვენ ბანკში სათადარიგო თავნის შესადგენად, ამას კანონი წინ არ აღუდგება. ხოლო ამ შემთხვევაში, რომელზედაც ჩვენ დღეს საუბარი გვაქვს, ფული არ არის და უნდა ჩვენ შორის მოგროვდეს, მაშასადამე, უნდა ყველამ გავიწეროთ. ეს გარემოება სულ სხვაა. კანონიერი იქნება ეს გაწერა თუ არა, და თუ იქნება, რა გზით უნდა ასრულდეს, თუ ზოგიერთმა უარი სთქვა და არ შემოიტანა? ძალად ხომ ვერავის ვერა გზით ვერ შემოატანიებთ და ან კრედიტში ხომ არ უანგარიშებთ?

კრებამ დაადგინა: მიენდოს გამგეობას ამ სათადარიგო თავნის შესადგენად კანონიერი ზომიერება მიიღოს და იმისთანა წყარო აღმოაჩინოს, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებასა.

(შემდეგი იქნება)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**მარელისი.** (შორაპნის მაზრა), 19 მარტი. მოგეხსენებათ, დიდი ზარალი მისცა შარშანდელმა წყალ-დიდობამ და თოვლმა მთელს საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთს საქართველოს. გავიდის კიდევ რამდენიმე ხანი და მაინც აქაური მკვიდრნი ვერ გასწორდებიან წელში და თუ კიდევ სხვა რამე ღვთის რისხვა მოგვევლინა, მაშინ ხომ სულ აღარა ეშველება-რა ჩვენებურებს. ამბობენ, ეს შავი ჭირი თანდათან ჩვენკენ იწევსო. აქა-იქ სოფლებში, როგორც ხოლერობის დროსაც იყო, გააკეთეს ფაცხები საავადმყოფოებისათვის, იქვე მიიტანეს თივა და კირი და სთხრიან ორმოებსა. ამის მნახველი ხალხი ძალიან შეშინებულია და ბავშვები ელდით ავადაც ხდებიან.

ნიაღვრებმა შარშან გზებიც ძალზედ გააფუჭა. რკინის გზა ყვირილიდგან წიფამდე წყალმა წაიღო. კაი ხანს მატარებლების მიმოსვლა შეჩერებული იყო, მაგრამ დაასიეს ხალხი გზას და ორთქლ-მატარებლებმა კვლავინდებურად მორთეს კივილ-ჩხავილი ჩხერიმელის ხეობაში. ჩვენებს-კი ბევრს არავის უსარგებლია ამ გზის კეთებით, რადგან მუშებად ქრუები, თათრები და ლეკებხანები გამოჰყავდათ. რკინის გზა გაკეთდა, მაგრამ ამ ჩვენს მველს მამა-პაპეულს გზა-ტკეცილს რაღა მოუვიდა? ისიც ისე დაიქცა და წყალს გაჰყვა უგან. ამისი პატრონი ვიღა იქნებოდა? არის ეს გზა იმავე უნუგეშო მდგომარეობაში, როგორც წინად იყო. რკინის გზის ზრუნველებმა იმის შიშით, რომ ხელ-მეორედ წყალმა გზა არ გააფუჭოსო, მდინარე გადააგდეს ამ გზა-ტკეცილისაკენ, ჩააყარეს შიგ ქვები და მდინარემ იქით იწყო სიარული და რაც დაუნგრეველი იყო გზა, ისიც დაანგრია და დარჩით ასე უგზოდ. ეს გზა-ტკეცილი დიდად საჭიროა ჩვენთვის, რადგან ურმითა, ცხენითა თუ ქვეითად მოსიარულე მუდამ იმას გერ ასცდება. წინად მთავრობამ თავისის ხარჯით გააკეთა ეს გზა და ახლაც რომ მიექცეს ყურადღება და შეაკეთოს, სწორედ დიდი შეღავათი იქმნება სოფლელებისათვის. ხალხი ყველაზედ დაქვეითებულია და უგზოობა ხომ უფრო დიდად აწუხებს.

კოტე გრძელი

**სოფ. ჰობარეთი,** (ახალ-ციხის მაზრა). ამ ბოლო დროს ს. ჰობარეთიდგან მრავალი მოსახლე მიდის სხვა ადგილებში. მიზეზი გადასახლებისა ის არის, რომ სოფ. ჰობარეთში მცხოვრებთა რიცხვი ძლიერ გამრავლდა, ასე რომ ეხლა კაცის თავზედ ერთი დღიური მიწაც არ მოდის.

ამიტომ სოფ. ჰობარეთის 12 კომლს, მათ შორის გიორგი ინასარიძეს და დიმიტრი ჯავახიძეს მიუმართავთ მთავრობისთვის და უთხოვნიათ, ნება მოგვეცით ყარსის ოლქში გადავსახლდეთ იმ ადგილას, რომელსაც „სამოთხე“ ეწოდებაო.

აი, ზოგიერთი ცნობა ამ სოფლის შესახებ: სოფ. ჰობარეთი მდებარეობს 17—18 ვერსის მანძილზედ ქ. ახალციხიდგან და აღმოსავლეთით უძევს საბატონო სოფ. ზველისი (2 ვერსის მანძილია), დასავლეთით საბატონოვე სოფელი ხეოთი (4 ვერსი იქნება) ჩრდილოეთით სახელმწიფო სოფელი მუსხი (3 ვერსია) და სამხრეთით ხშირი სახელმწიფო ჰობარეთის ტყეა (5 ვერსის მანძილზედ). ზემოხსენებული მანძილი ვერსებისა რომ ერთი მეორით გავამრავლოთ, გამოვა, რომ სოფ. ჰობარეთს უჭირავს 60 ოთხ-კუთხი ვერსი. სულ რომ ცოტა ვსთქვათ, ერთი მესამედი ხსენებული ადგილისა ხვნა თესვისთვის გამოუსადეგარი ადგილია, ხოლო დანარჩენი ადგილი ჰკვდებავს თითქმის 42 კომლს!.

ხვნა-თესვის გარდა, ამ სოფელში მისდევენ ცხვარ-ძროხის მოვლა-მოშენებას, და რადგან ისეც ცოტა მიწა-წყალში ვერ თავსდებოდა საქონელი, საძოვრად ჰობარელები ცხვარ-ძროხას ერთის მამულის პატრონის ალაგში მიერეკებოდნენ ხოლმე ზაფხულობით და თივასაც იქა სთიბავდნენ ზამთარში გამოსაკვებად.

ეხლა ხსენებულ მამულის პატრონმა მოიწადინა ჯიბის გასუქება!.. აქამდის თუ ერთ საძოვარ ადგილში ახდევინებდა წელიწადში 200 და 250 მანეთს, ახლა-კი 500 მან. გადააჭარბა. და რადგან მომეტებულის ფასის გადახდა ველარ შესძლეს ჰობარლებმა, ცხვარ-ძროხის შენახვას უკლეს და ვეღარც 500 მან. გარდახდა იკისრეს. და ამ სახით მოაკლდათ ჰობარელებს ერთი ცხოვრების სახსარი, ხოლო ხვნა-თესისათვის ნიადაგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალიან ცოტაა. ამიტომ გაჭირვებულები იძულებული იყვნენ, დაენებებინათ თავი მამა-პაპეულ სახლკარისთვის და სხვა ფართო ადგილას გადასახლებულიყვნენ. მაგრამ ვინ იცის ნება დაერთობათ თუ არა საცოდავებს გადასახლებისა?!... ფრიად და ფრიად-კი საჭიროა, რომ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჰობარლების გაჭირვებას და ყარსის ოლქში თუ არა, კავკასიის სხვა რომელსამე თავისუფალ ადგილას დაასახლონ მიწა-წყალსა და ცხოვრების სახსარს მოკლებულნი ჰობარლები!

## დე-კამპოკასსოს გვარეულობა საქართველოში.

2 თებერვალს 1897 წლისას ქ. ქუთაისში გარდაიცვალა უკანასკნელი წარმომადგენელი საქართველოში ძველად გადმოსახლებულის ფრანგის ოჯახისა—ანტონ დე-კამპოკასსო. ანტონის მამა ალოიზ დე-კამპოკასსო იყო კორსიკანელი აზნაური, დაბადებული იმავე ქალაქში, სადაც დაიბადა ნაპოლეონ დიდი. ალოიზ დე-კამპოკასსომ 1810 წელს დაამთავრა პარიზში საექიმო კოლეგიუმი*). რამდენისამე წლის შემდეგ მან შეირთო ცოლი და 1818 წელს იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა საფრანგეთი. რა იყო ამისი მიზეზი, ეს არ ვიცით. ალოიზამ განიზრახა დიდი მოგზაურობა და გამოსწია აღმოსავლეთისაკენ. იმოგზაურა ეგვიპტეში, ასირიაში. აქ ეყოლა ქალიშვილი მარიამი, რომელიც გარდაიცვალა ქუთაისში ამ ათის წლის წინად. ჩვენი საუკუნის 20 წლებში ალოიზი თვისის ცოლშვილით ჩამოვიდა ტფილისში და მერე გაემგზავრა ქუთაისს. ალოიზას იმდენად მოეწონა ქუთაისი და მისი არე-მარე, რომ განიზრახა აქ დასახლება. მალე მან აქ დიდი პრაქტიკა იშოვნა. თავად-აზნაურობას ძლიერ უყვარდათ „ფრანგის დოხტური“. ალოიზას ძლიერ ხელს უმართავდნენ და ეხმარებოდნენ კათოლიკეების მისიონერები — პატრები. მეორმოცე წლების დამდეგს ალოიზა გახდა ავად და ორს დღეზედ გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, ექიმებმა მოწამლესო. ალოიზას დარჩა სამი ვაჟი და ორი ქალი. დღეს-კი ამ გვარის წარმომადგენელი აღარავინ არის ცოცხალი.

ანტონ დე-კამპოკასსო ტომით იყო კორსიკანელი, თორემ სულით და გულით ქართველი კაცია, მშვენივრადა ჰქონდა შესწავლილი ქართული მწერლობა და ისტორია. იგი დიდის გულმოდგინებით ყურს უგდებდა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას. გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა განსვენებულს. რაც-კი რამ ამ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში მომხდარა საქართველოში, ყველას დაწვრილებით და ზედ-მიწევნით გიამბობდათ. დე-კამპოკასსო ყოველ-

*) ყველა აქ მოყვანილი ცნობები ჩვენ გარდმოგვცა განსვენებულმა ანტონ დე-კამპოკასსომ. გარდა ამისა მას დარჩა იმისის მამის საბუთები: კოლეგიურის დამთავრების ატესტატი, რამდენიმე პასპორტი, აღებული სხვა-და-სხვა კონსულებისაგან, და სხვა.

თვის იწერდა ქართულ გაზეთებს წინად „დროებას“ და შემდეგ ,,ივერია“-ს ნომრებს ინახავდა ხოლმე, ახსოვდა თითოეული წერილი, რომელიც ,,დროება“-ში იბეჭდებოდა. სხვათა შორის, ერთხელ აკაკი მივიდა განსვენებულთან და სთხოვა, ამა და ამ წელს ჩემი ესა-და-ეს წერილი იყო დაბეჭდილი ,,დროებაში“ და ეს ნომრები მათხოვეო. ,,ბატონო, აკაკი“, უპასუხა დე კამპოკასსომ,— ეგ თქვენი წერილი მაშინ-კი არა, არამედ ამა და ამ წელს დაიბეჭდა ,,დროებაში“ და მართლაც ასე გამოდგა.

ანტონ დე-კამპოკასსო ცოცხალი მაგალითი იყო იმისი, თუ რა შეუძლიან ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში ინტესიურ, ბეჯით შრომას. იმას ჰქონდა ქუთაისში, ფრანგების ქუჩაზედ ნახევარი დღიური მიწა, სადაც თავისის ხელით გააშენა მშვენიერი ბაღი და ბოსტანი, და ამ პატარა ადგილიდგან იმდენ შემოსავალს იღებდა, რომ წლიურ სარჩოდ ჰყოფნიდა. ახლაც ეს ბაღი ერთ საუკეთესო ბაღად ითვლება ქუთაისში.

ამ გვარად სამოც-და-ათს წელიწადს სცხოვრობდნენ ჩვენში საფრანგეთიდგან გადმოკარგული ემიგრანტები — დე-კამპოკასსოს ოჯახი. მამა იყო ხელოვანი ექიმი და შვილი მშვენიერი მებაღე. ანტონ დე-კამპოკასსომ მრავალი საუცხოვო მცენარე გაამრავლა ჩვენში, მაგალითად, მაგნოლიის ხე. მანვე შეგვინახა ამისთანა ძნელად საშოვნელი რამ, როგორიც ახლა არის გაზეთ ,,დროების“ მთელი ეგზემპლიარები, გამოსვლის დღიდგან უკანასკნელ ნომრამდე. ქართველებ მოვალენი ვართ არ დავივიწყოთ იმგვარნი მოღვაწენი, რომელთაც თავისის შეძლებისა და ღონის დაგვარად სარგებლობა მოჰქონდათ ჩვენის ქვეყნისათვის.

გრ. ს.

# რუსეთი

—

— აზრად აქვთ, მოკლე დროში რკინის გზებზედ მოძრაობის შესახებ ახალი წესი შემოიღონ. ახალი წესების ძალით, სხვათა შორის, ტელეგრაფის მაგიერ ტელეფონი იქმნება შემოღებული, მაგრამ ისე-კი, რომ ტელეფონით ნალაპარაკევი განსაკუთრებულს წიგნში სისწორით იქმნას ჩაწერილი.

— საფრანგეთის ცნობილი ვარსკვლავთ-მრიცხველი და მწერალი კამილლ ფლამარიონი ჩქარა ჩამოვა პეტერბურგს.

— ხმა დადის, რომ მთავრობას განზრახვა აქვს შესცვალოს ზოგიერთი კანონები ბეჭდვითის სიტყვის შესახებ.

— პეტერბურგს მისულა თორმეტი ჩინელი იმ აზრით, რომ საფინანსო კანონები შეისწავლონ. მისულთ მიჰგებებიან ჩინეთის საელჩო წევრნი. რკინის გზის საქმის შესასწავლადაც რამდენიმე ახალგაზდა ჩინელი აპირებს რუსეთში ჩამოსვლას.

### პიროებები პეტერბურგის დედათა სამკურნალო ინსტიტუტში შესვლისა.

1) ინსტიტუტში მსმენელად მიიღებიან ყველა ქალნი ქრისტეს სარწმუნოებისანი, რომელნიც ოცს წელიწადზედ ახალ-გაზდანი არ არიან და 35 წელს არ აღემატებიან.

2) ამა ინსტიტუტში შესვლის მსურველმა უნდა გაუგზავნოს თხოვნა დირექტორის სახელობაზედ და თან დაატანოს შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) მოწმობა ამა თუ იმ წოდების წევრად ყოფნისა; ბ) დაბადება ნათლობისა; გ) საერო განათლების სამინისტროს რვა კლასიან გიმნაზიაში სწავლის დამთავრებისა, ან იმპერატრიცა მარიას სახელობაზედ დაარსებულ გიმნაზიისა, ან ინსტიტუტისა და სხვა დედათ ასასწავლებლებისა, რომლებიც უფლებებით ჩამოთვლილ სასწავლებლებს უთანასწორდებიან; დ) მოწმობა ლათინურ ენის ეგზამენის გარდახდისა; ე) მოწმობა პოლიციისა, რომ იგი კეთილ-საიმედოა; ვ) საკუთარის ცხოვრების აღწერა; ზ) მშობლების ნებართვა, ან მზრუნველისა, თუ ობოლია და 21 წლისა თუ არ შესრულებულა, ან ქმრისა თუ გათხოვილია; თ) ორი თავისი სურათი თავის მიერვე ხელ-მოწერილი.

3) გიმნაზიასა, ან სხვა უფლებით ამის თანასწორე სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ თუ სურთ ინსტიტუტში შესვლა, უნდა გარდაიხადონ ეგზამენი ლათინურის ენისა, როგორც დაწესებულია უნივერსიტეტში შემსვლელთა მსურველთათვის. ეგზამენისგარდახდა შეუძლიანთ ამა თუ იმ ქალაქის სავაჟო გიმნაზიაში და თუ იმ ქალაქში რამდენიმე გიმნაზიაა, მაშინ იქ, რომელსაც დაჰნიშნავს სამოსწავლო ოლქის მზრუნველი. ისინი, რომელნიც პეტერბურგის დედათა უმაღლესს კურსებზედ ყოფილან და იქ გარდაუხდიათ ეგზამენი ლათინურის ენისა ან დაუმთავრებიათ ისეთი დედათა გიმნაზია, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება საშუალო მოწმობის მიცემისა, მიღებულ იქმნებიან ეგზამენების გარდაუხდელად.

4) თხოვნა დირექტორის სახელობაზე უნდა გაიგზავნოს 1 თიბათვიდგან დაწყებული 1 აგვისტომდე ამ ადრესით: ს.-პეტერბურგი, ლიგოვსკის ქუჩა, № 3.

5) მოწმობა პოლიციისა, რომ იგი კეთილ-საიმედოა პეტერბურგში მცხოვრებლებმა უნდა წარმოადგინონ ქალაქის უფროსისაგან, დანარჩენებმა-კი ადგილობრივის გუბერნატორებისაგან.

6) თხოვნასთან ერთად, ზემოთ ჩამოთვლილ საბუთების გარდა, აღნიშნული უნა იყოს სრული ადრესი ინსტიტუტში შესვლის მსურველისა.

7) თუ ზემოდ ჩამოთვლილს საბუთებს ერთ-ერთი აკლია, თხოვნა უყურადღებოდ იქმნება დატოვებული.

8) პასუხის მისაღებად, თხოვნაში ნაჩვენები ადრესით, უნდა გაიგზავნოს საჭირო ფოსტის მარკები.

9) ინსტიტუტში მიღებულნი უნდა გამოცხადნენ ლექციების დაწყებისათანავე, 15 სექტემბერს; წინააღმდეგ შემთხვევაში სიიდგან გამორიცხულ იქმნებიან.

10) პასუხის მიღებისათანავე შესვლის მსურველთ უნდა წარადგინონ არა უგვიანეს 15 სექტემბრისა ნახევარი შესატანი ფული ლექციების მოსასმენად 50 მ., ხოლო იმათ-კი, რომლებიც მიღებულ იქმნებიან შიგ ინსტიტუტის საზოგადო საცხოვრებელში, —150 მან.

11) შეტანილი ფული აღარავის დაუბრუნდება, თუნდა კვდაზედ ადრეც დაანებოს თავი მსმენელმა სწავლას.

12) ვინც წელიწადში გადაიხდის 300 მან. იმას ინსტიტუტის საზოგადო საცხოვრებელში მიეცემა სადგომი, მოსამსახურე და სასმელ-საჭმელი სასწავლებლო წლის ბოლომდის.

# ნაკვესი

—

ერთი პატრონი ბაღისა შევიდა ბაღში დასათვალიერებლად რა კეთდებაო. დაინახა, რომ მებაღე კარგ ჩრდილში წამოწოლილა და სძინავს. გააღვიძა და უთხრა:

— შენ ღირსი არა ხარ, რომ მზეს უყურო.

— მეც აგი იმიტომ ჩრდილს შევაფარე თავი, რომ მზე არ დავინახო, უპასუხა სიტყვა-მოსწრებულმა მებაღემ.

* * *

ერთს პროფესსორს დერციკმა ძალიან ვიწრო შალვარი შეუკერა და პროფესსორმა დაუწუნა.

— ბატონო, ეხლა ამისთანა ვიწრო შალვარი მოდაა. თქვენც არ უნდა ჩამორჩეთ უკან დრო-ჟამსაო, უთხრა დერციკმა.

— ძალიან კარგი, მაგრამ მაგისთანა ვიწრო შალვარით დრო-ჟას როგორ გამოვუდგეო.

* * *

რკინის გზით მიდიოდნენ უმაწვილი ქალი და ყმაწვილი კაცი. ყმაწვილი კაცი გაუკადნიერდა ქალს და უთხრა:

— ბატონო ჩემო, რას იქმოდით, რომ კაცმა, რომელსაც ძალიან უყვარხართ, თავისი სიყვარული პირდაპირ გაგიმჟღავნოთო?

— სილას შემოვკრავდი...

— მაშ აი ჩემი ლოყა... ხოლო ძალიან-კი ნუო.

### ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ამ ჟამად ადამიანის სიცოცხლე არ აღემატება 30—35 წელს. მაგრამ ეს გაცილებით ნაკლები არის იმ წლოვანობაზედ, რომელსაც საზოგადოდ უნდა მიაღწიოს ადამიანმა. საქმე ის გახლავთ, რომ სასტატისტიკო ცნობებში ჩათვლილნი არიან ბავშებიც და ყველამ კარგად იცის, რომ სიკვდილი უფრო ხშირი არის ბავშვებ შორის, განსაკუთრებით პირველ წელს. ამ გვარად ერთის წლის ბავშვები, რომ არ ჩავთვალოთ, აღმოჩნდება, რომ ადამიანის სიცოცხლე ორთა-შუა რიცხვით 70—75 წელს არ აღემატება. ასე არის ეხლა და უწინაც ასე იყო. საღმრთო წერილშიაც მოხსენებულია, რომ ადამიანის სიცოცხლე 70—80 წელს არ აღემატებაო. სასტატისტიკო ცნობებიდგანვე სჩანს, რომ ერთ მილიონ ადამიანთა შორის მიუღწევიათ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | წლამდე | 70000 | სულს |
| 10 | „ | 62000 | „ |
| 20 | „ | 59000 | „ |
| 30 | „ | 54000 | „ |
| 40 | „ | 48000 | „ |
| 50 | „ | 40000 | „ |
| 60 | „ | 30000 | „ |
| 70 | „ | 17000 | „ |
| 80 | „ | 5000 | „ |
| 90 | „ | 157 | „ |
| 100 | | 19 | „ |

ამ ცნობების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ თუ ბავშვი პირველს წელს გადასცდა, კიდევ 55 წელი უნდა იცოცხლოს, 10 წ. რომ გადასცდება, კიდევ 46 წელს იცოცხლებს. რაღა თქმა უნდა, რომ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე მრავალ სხვა-და-სხვა მიზეზზედ ჰკიდია, მაგრამ შემდეგი ცნობები მაინც მართალი უნდა იყოს, რადგანაც მრავალ სასტატისტიკო გამოკვლევაზეა დამყარებული. 1 წლის ბავშს წინ უდევს კიდევ 55 წლის სიცოცხლე.

| | | |
|---|---|---|
| 10 | „ | 46 |
| 20 | „ | 38 |
| 30 | „ | 31 |
| 40 | „ | 24 |
| 50 | „ | 18 |
| 60 | „ | 12 |
| 70 | „ | 7 |
| 80 | „ | 4 |
| 90 | „ | 3 |
| 100 | „ | 2 |

მათუსაილისა და სხვა პატრიარქთა ხანგრძლივ სიცოცხლეს რომ თავი დავანებოთ, —რადგანაც ამაზედ გადაწყვეტილი არაფერი ითქმის, იმიტომ რომ ძველად წელიწადს ისე არ ანგარიშობდნენ, როგორც ეხლა,—აღმოჩნდება, რომ არც ერთს ადამიანს ჯერ არ მიუღწევია 200 წლამდე. 100-სა და მეტის წლის კაცი-კი ბევრი ყოფილა. იტალიელი კორნარო ახალგაზდობაში ძლიერ ცუდს ცხოვრებას ატარებდა, ექიმებმა გადასწყიტეს კიდეც მალე უნდა მოკვდესო. მაშინ კორნარომ წესიერად დაიწყო ცხოვრება და 100 წლამდე იცოცხლა. ერთმა გლეხმა თომა ფარმა 120 წლისამ მეორე ცოლი შეირთო, 130 წლამდე მხნედ მუშაობდა და 159 წლისა და 9 თვის გარდაიცვალა. იორკშირის მცხოვრები ჯენკინსი 169 წლისა გარდაიცვალა. კენდინიგერმა, რომელსაც წმ. მუნგო უწოდეს, და რომელმაც გლაზგოში ეპარქია დააარსა, 185 წლამდე იცოცხლა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 მარტი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: ვარშავის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს შიროვსკის ებრძანა, ლომჟინსკის გუბერნატორად ყოფნა.

**ვენა.** მართალი გამოდგა ის ამბავი, რომ იმპერატორმა არ შეიწყნარა კაბინეტის თხოვნა სამსახურიდგან გადადგომის შესახებაო. სამინისტრო ისევე რჩება თავისს თანამდებობაზედ.

**ლონდონი.** ,,Daily News“-ს აუწყებენ სალონიკიდგან: ,,კიპურის ახლო-მახლო შეტაკება მოუხდათ 300 მეამბოხეს ტაკისის მეთაურობით და მაჰმადიანებს. 30 კაცია მოკლული. 10 დაჭრილი მაჰმადიანი გრევენში მოიყვანეს“.

,,Morning Post“-ს დეპეშით აუწყებენ კონსტანტინეპოლიდგან: „მინისტრთა საბჭომ შეადგინა მიწერილობა საბერძნეთის მთავრობის მიმართ, რომელშიაც თხოულობს, რომ საბერძნეთმა ჯარი გაიხმოს კრიტიდგან, ხოლო თუ უარს იტყვის, ოსმალეთი ყველაფრის პასუხის-მგებლობას საბერძნეთს დააკისრებსო.

**კორფუ.** საბერძნეთიდგან განდევნილ იქმნა გერმანიის გაზეთების სამი კორესპონდენტი, რომელიც საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკას კრიტიკის თვალით ჰსინჯავდნენ.

**ბელგრადი.** ხმა დადის, რომ მეფე ნაადგომევს მთავართან წავა სადარბაზოდ ცეტინიესა.

**სოფია.** გაზეთ „Nard“-ის წერილმა ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირის შესახებ აქ კარგად იმოქმედა და მთავრობის გაზეთებს მოჰყავთ კიდეც იგი.

**ცეტინიე.** სკუტარში ბაზარი დაკეტილია უწესოების შიშით: საელჩოს ჯარი სდარაჯობს.

**შანჰაი.** ამბოხება დაიწყო უცხოქვეყნელთა წინააღმდეგ. ეს ამბოხება, გამოწვეულია განსაკუთრებით მუშა ხალხის (ყულის) მიერ, რომელნიც გარდასახადთა მომატების გამო ძალიან განაწყენებულნი არიან. პოლიციამ ყულიები გაჰრეკა ფრანგთა სოფლიდგან. ეხლა მშვიდობიანობა დამყარებულია.

26 მარტი.

**პეტერბურგი.** იმ კამისიისაგან, რომელმაც ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ იმპერიაში შავი ჭირი არ იქმნას შეტანილი: თეოდოსიიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ „ბლოდვინის“ გემის მეზღვაოსნეს ჯუზეპე ჩელენტანოს, რომელიც ავად გახდა და თეოდოსიის კარანტინში მოათავსეს, ექიმები გულდასმით და ხანგრძლივ სინჯავდნენ და ეხლა ნამდვილად აღმოჩნდა, რომ იგი შავის ჭირით არც ყოფილა ავად.

25 მარტს ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი ცხენოსან გვარდიის მანეჟში ბრძანდებოდნენ და ცხენოსან ლეიბგვარდიის პოლკის დღესასწაულს დაესწრნენ.

**ვენა.** ლონდონიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ აქ პრინცის ფრანციოსებ ბატენბერგელის კანდიდატურას კრიტის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზედ ძლიერ კარგის თვალით შეჰხედესო. ფორმალურად წინადადება არავისაგან მოსულა მაგრამ არც ერთი დიდი სახელმწიფო ამისი წინააღმდეგი არ იქმნება და დიდთა სახელმწიფოთა უმეტესობა, მათ შორის რუსეთიც, დასთანხმდებაო.

**ლონდონი.** ,,Standard“-ს აუწყებენ კანეადგან: ადმირალებს თათბირი ჰქონდათ იმ წინადადების შესახებ, რომ ათინის ყურეს ალყა შემოერტყასო. კანავერომ განაცხადა,- რომ იტალიის მთავრობისაგან მოწერილობა მომივიდა,—საერთაშორისო ფლოტში ისე ნუ იმოქმედებ, ვითარცა უხუცესი აფიცერიო.

**ლონდონი.** პეტერბურგიდგან დეპეშით იუწყებიან: დიდმა სახელმწიფოებმა მოიწონეს გრაფ მურავიოვის წინადადება ეცნობოს როგორც საბერძნეთს, ისე ოსმალეთსაცაო, რომ თუ ერთი მათგანი საომ ტევს მოქმედებას დაიწყებს, პასუხის-გება იმას დაეკისრება და ნება არ მიეცემა ასეთის მოქმედებით რისამე სარგებლობისაო. ნოტა, რომელშიაც ეს დადგენილებაა მოთავსებული, ორისავე მხრის მთავრობას გაეგზავნა.

**ლონდონი.** „Daily News“-ს აცნობებენ დეპეშით: აქ ამ ჟამად ჰსინჯავენ პროექტს იმის შესახებ, რომ კრიტი მოიარონ კონსულებმა და მეამბოხეთ გააგებინონ და გააცნონ დიდთა სახელმწიფოთა განზრახვანი.

,,Times“-ს გაუგონია, რომ ელჩებმა კონსტანტინეპოლში კრიტის თვით-მმართველობის ძლიერ ფართო პროექტი შეიმუშავესო. კრიტის საერო კრებას ნება მიეცემა გუბერნატორი აირჩიოს. ხონთქარი ამ არჩევანს დაამტკიცებს ხოლმე.

**თეირანი.** ემი-ელ-დავლეჰი დანიშნულ იქმნა მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრად და დიდი უფლებანიც მიენიჭა.